უკრაინა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში

2022 წლის 16 მარტს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ (ICJ) უკრაინის მიერ რუსეთის წინააღმდეგ მოთხოვნილი დროებითი ღონისძიებების დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა. სასამართლომ 13 ხმით 2-ის წინააღმდეგ მოსთხოვა რუსეთს: Ḍ□□□□□□□□□ შეაჩეროს სამხედრო მოქმედებები, რომელიც 2022 წლის 24 თებერვალს დაიწყო უკრაინის ტერიტორიაზე“.[1]

უკრაინის მიერ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში წარდგენილი

განაცხადი, რომლითაც, მათ შორის, მოითხოვა დროებითი ღონისძიებები რუსეთის წინააღმდეგ, **გენოციდის დანაშაულის და დასჯის შესახებ 1948 წლის კონვენციას (გენოციდის კონვენცია) ეფუძნება,** კერძოდ, რუსეთის მიერ გენოციდის კონვენციის IX მუხლის დარღვევას.[2]

ბლოგის მიზანია, მოკლედ მიმოიხილოს თუ რატომ დაეყრდნო უკრაინა გენოციდის კონვენციას და, ასევე, განმარტოს საერთაშორისო სამართლის მიხედვით, შესაძლოა თუ არა ლეგიტიმურად ჩაითვალოს ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ შესაძლო გენოციდის პრევენციისა და დასჯის მიზნით?!

უკრაინის ძირითადი არგუმენტაცია და სამართლებრივი მოთხოვნები

როგორც ცნობილია, რუსული Ţ□□□□□□□□□ სამხედრო ოპერაციის □ ფიქტიური საფუძველია Ţ□□□□□□□ □ Ţ□□□□□□□□□ ადამიანის გენოციდი □□ რო დასახლებულნი არიან ლუგანსკისა და დონეცკის რეგიონებში.[3] ვინაიდან რუსეთის ფედერაცია სამხედრო ინტერვენციისა და ძალის გამოყენების ერთადერთ კანონიერ საფუძვლად Ţ□□□□□□□□ დანაშაულის შეჩერებას □ იხსენიებს, ამიტომ უკრაინა დაეყრდნო გენოციდის კონვენციას და ამ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებას გენოციდის დანაშაულის დასჯისა და პრევენციის ჭრილში.

მოცემული ბლოგის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება მთავარ მოთხოვნებზე, რომლებიც წარუდგინა უკრაინამ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს. კერძოდ, უკრაინამ მოითხოვა:

1. სასამართლომ დაადგინოს, რომ ლუგანსკისა და დონეცკის რეგიონებში არ ჰქონდა ადგილი გენოციდის დანაშაულს, როგორც ეს განმარტებულია გენოციდის კონვენციის III მუხლით და რასაც ამტკიცებს რუსეთის ფედერაცია;
2. დაადგინოს, ასევე, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული Ţ□□□□□□□□□ სამხედრო ოპერაცია □ დაფუძნებულია მცდარ ბრალდებებზე და, შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის მხრიდან გენოციდის კონვენციის გამოყენება მისი ძალის გამოყენების გასამართლებლად საფუძველშივე დაუშვებელია;[4]

საჩივარში უკრაინა სასამართლოს სთხოვს, დაადგინოს, პირველ რიგში, რომ მას გენოციდის დანაშაული არ განუხორციელებია. ასეთი სახით მოთხოვნის დაფიქსირება უჩვეულოდ შესაძლოა იქნას მიჩნეული და, მართლაც, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკაში ასეთი სახით, კერძოდ, სახელმწიფოს ვალდებულებების დაურღვევლობაზე მითითებით, საქმე არ წარმოებულა. ერთადერთი პრეცედენტი,

როდესაც განმცხადებელი სახელმწიფო სთხოვდა სასამართლოს დაედგინა, რომ მას არ დაურღვევია საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულებები, იყო 1950 წლის საქმე - ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების უფლებები მაროკოში (საფრანგეთი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ). მოცემულ საქმეში საფრანგეთმა, როგორც მაროკოს პროტექტორმა სახელმწიფომ, აშშ-ს წინააღმდეგ დაიწყო საერთაშორისო სამართალწარმოება ICJ-ში, სადაც აცხადებდა, რომ მის მიერ მაროკოს ტერიტორიაზე მიღებული კანონი, რომელსაც ეწინააღმდეგებოდა აშშ მაროკოსთან დადებული შეთანხმების საფუძვლით, არ არღვევდა მის საერთაშორისო ვალდებულებს. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთს (ისევე, როგორც ახლა უკრაინას) მოთხოვნა ჰქონდა, სასამართლოს დაედგინა, რომ მას არ დაურღვევია საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულება, ნეგატიური სამართალწარმოების საკითხზე ICJ-ს არ უმსჯელია და საქმე მხარეების არგუმენტაციის განხილვის გზით გადაწყვიტა. ამიტომაც, ამ კუთხით საინტერესოა როგორ განიხილავს სასამართლო უკრაინის საქმეს.

აქვე, საინტერესოა მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხიც: მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში რუსეთი არის მოპასუხე, მას უნდა დაეკისროს მტკიცების ტვირთი უკრაინის მიერ შესაძლო გენოციდის ჩადენის ფაქტზე, რადგან, როგორც ICJ-მ განმარტა ხორვატია სერბეთის წინააღმდეგ საქმეში: "სწორედ იმ მხარემ, რომელიც ამტკიცებს რაიმე ფაქტს, უნდა ამტკიცოს მისი არსებობა“.[5]

რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, ჩნდება კითხვა, თუ რამდენად არის შესაძლებელი საერთაშორისო სამართლის მიხედვით გამართლებულ იქნას ძალის გამოყენება გენოციდის დანაშაულის აღმოფხვრისა და დასჯის მოტივით?!

პროფესორი ჟან-მარკ ტუვენინი (უკრაინის ერთ-ერთი წარმომადგენელი მოცემულ საქმეში) ამახვილებს ყურადღებას იმ საკითხზე, რომ რუსეთის მიერ წარმოებულ ომს, იმისათვის, რომ დასაჯოს და აღმოფხვრას შესაძლო გენოციდის დანაშაული, გენოციდის კონვენციაზე დაყრდნობით, არ აქვს არანაირი სამართლებრივი საფუძველი,[6] მეტიც, კონვენცია არ ანიჭებს ხელშემკვრელ მხარეს უფლებამოსილებას რომ ამ მიზნით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიჭრას. ICJ-მ ბოსნია ჰერცოგოვინა სერბეთის წინააღმდეგ საქმეში განაცხადა, რომ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება აღმოფხვრან გენოციდის დანაშაული თუნდაც მათი ტერიტორიის გარეთ[7], მაგრამ ძალის გამოყენება ამ მიზნის მიღწევის მეთოდი არ შეიძლება იყოს.[8]

უპრიანი იქნება უფრო დაწვრილებით შევეხოთ ამ საკითხებს. გენოციდის კონვენციის I მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას აღმოფხვრან და დასაჯონ გენოციდი, მაგრამ, ამასთანავე, მათ ეკისრებათ ვალდებულება, პირველი მუხლის მიზნებიდან

გამომდინარე, ნებისმიერი ზომა, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვითა *(in good faith)* და, ამავდროულად, კონვენციის სხვა დებულებების გათვალისწინებით მიიღონ.[9]

რუსეთმა ძალის გამოყენებით დაარღვია, არა მხოლოდ, კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპი, არამედ გენოციდის კონვენციის სხვა დებულებები, კერძოდ, VIII, IX მუხლები და საერთაშორისო სამართლის სხვა ვალდებულებები.[10]

უკრაინის მტკიცებით:

1. რუსეთის ფედერაციის მიერ ძალის გამოყენება, რომელიც მისი მტკიცებით, გენოციდის დანაშაულის დასჯისა და პრევენციისკენ იყო მიმართული, სინამდვილეში არ არის მტკიცებულებებითა და ფაქტებით გამყარებული. ცრუ ბრალდებებით წარმოებულ სამხედრო ოპერაციას უკრაინელი ხალხის უფლებათა მასობრივი დარღვევები მოჰყვა,[11] მათ შორის, მილიონობით ადამიანის იძულებით გადაადგილება.[12] უკრაინის მტკიცებით, აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს და არ მიმდინარეობდა გენოციდის დანაშული, შესაბამისად, რუსეთის მიერ გატარებული ზომები კანონიერ საფუძველს მოკლებულია.
2. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას რამდენად შეუძლია სახელმწიფოს გენოციდის დანაშაულის აღმოფხვრისა და დასჯის მიზნით გაატაროს ცალმხრივი ზომები.[13] უკრაინის მიერ ამ საკითხის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას ეთანხმება სასამართლოც.[14]

ერთი რამ ნათელია, როგორც გაეროს წესდების, ასევე, გენოციდის კონვენციის VIII მუხლის საფუძველზე: სახელმწიფოს მიერ მიღებული ნებისმიერი ზომა, მათ შორის, სამხედრო ოპერაციის წარმოება, უნდა იყოს შეთანხმებული გაეროს კომპეტენტურ ორგანოებთან, რაც გულისხმობს იმას, რომ გენოციდის დანაშაულთან ბრძოლა, კერძოდ, მისი დასჯა და პრევენცია, უნდა მოხდეს მხოლოდ იმ ქმედებებით რომლებიც შეესაბამება გაეროს წესდებას და მიღებულია გაეროს პროცედურების შესაბამისად. სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, მიმართონ უშიშროების საბჭოს და სწორედ მისი თანხმობით აწარმოონ მოქმედებები. [15]

იურისდიქცია და დასაშვებობა

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია, სახელმწიფოთაშორის საქმეებზე, დავაში მონაწილე მხარეთა თანხმობის საფუძველზე განისაზღვრება. ეს პრინციპი, რომელიც სტატუტის 36-ე მუხლშია ასახული, ემყარება დავების გადაწყვეტის საერთაშორისო პრაქტიკას და სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს.[16] ამავე პრინციპზე დაყრდნობით ICJ-ის წესების 36-ე მუხლი ადგენს

სასამართლოს იურისდიქციის საფუძვლებს:

1. **სპეციალური შეთანხმების** საფუძველზე კონკრეტულ დავაში მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა აღიარონ ICJ-ის იურისდიქცია და გადასცენ საქმეს მას განსახილველად;
2. **კომპრომისული დებულება** (compromissory clause) - საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებში გათვალისიწინებული დებულება, რომელიც წინასწარ ადგენს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას გარკვეული ტიპის დავებზე, რომლებიც ამავე ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს. [17]
3. **სავალდებულო იურისდიქცია** (compulsory jurisdiction) - მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციის აღიარება ცალმხრივი დეკლარაციით. თავის მხრივ, დეკლარაცია ბარდება გაეროს გენერალურ მდივანს, ხოლო დეკლარანტი ვალდებული ხდება, მიიღოს სასამართლოს იურისდიქცია ნებისმიერ სხვა დეკლარანტთან მიმართებით, იმდენად, რამდენადაც ეს აღიარებები ერთმანეთს ემთხვევა.

გენოციდის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები არიან რუსეთიც და უკრაინაც, ამასთან, კონვენციის IX მუხლი დავების გადაწყვეტის მექანიზმად სწორედ ICJ-ის ითვალისწინებს.[18] უკრაინის მტკიცებით, მასსა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებობს Ḍ□□□□ კონვენციის ინტერპრეტაციის, გავრცელებისა და შესრულების □ შესახებ, შესაბამისად, კომპრომისული დებულების საფუძველზე სასამართლოს აქვს იურისდიქცია. ამით უკრაინამ, შესაძლოა განვაცხადოთ, რომ გადაჭრა სასამართლოს იურისდიქციის შესაძლო პრობლემატური საკითხი.

დროებითი ზომების შესახებ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განაცხადა რომ, მოცემულ ეტაპზე მხარეების მიერ წარმოდგენილ არგუმენტებზე დაყრდნობით, მას აქვს *prima facie* იურისდიქცია. გენოციდის კონვენციის X მუხლი ითვალისწინებს საკმარის საფუძველს, რომ გამოიტანოს გადაწყვეტილება დროებითი ზომების შესახებ.[19] ეს უკანასკნელი არ ადგენს *a priori* სასამართლოს იურისდიქციას საქმის არსებითი გადაწყვეტის ფარგლებში, მაგრამ მნიშვნელოვან განმარტებებს აკეთებს გენოციდის კონვენციის გამოყენების შესაძლებლობაზე. ამასთან, სასამართლო ამტკიცებს ფაქტებს, რომ რუსეთის მიერ წარმოებული Ḍ□□□□□□□□ ოპერაცია □ ნამდვილად Ḍ□□□□□□□□□ დანაშაულის დასჯისა და აღმოფხვრის“ მიზნით მოხდა.

რუსეთის არგუმენტაცია და გამოუცხადებლობა ზეპირ მოსმენაზე

რუსეთის ფედერაციამ წარმოადგინა წერილობითი არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ სასამართლოს კონკრეტულ ფაქტთან მიმართებით არ ჰქონდა იურისდიქცია, რადგან გენოციდის კონვენცია არ ვრცელდებოდა მოცემულ ვითარებაზე. მისი მთავარი არგუმენტი ემყარებოდა იმას, რომ რუსეთის მიერ წარმოებული Ḍ□□□□□□□□□□ სამხედრო ოპერაცია □ გამოყენებული იყო, როგორც თავდაცვის უფლების რეალიზაცია, გათვალისწინებული გაეროს ქარტიის 51-ე მუხლით.[20] ამაზე სასამართლომ მიუთითა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე რუსეთის ფედერაციის მაღალჩინოსნები, მათ შორის, პრეზიდენტი პუტინი აშკარად მიუთითებდნენ გენოციდის დანაშაულზე და, ამ მიზნით, „სამხედრო ოპერაციის წარმოებაზე".[21]

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა წერილობითი პოზიცია წარადგინა, დროებითი ზომების მიღების საკითხთან დაკავშირებით ზეპირ მოსმენას არ დაესწრო და, შესაბამისად, არ წარადგინა ზეპირი არგუმენტაცია. 2022 წლის 9 მარტს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ Ḍ□□□□□□ აბსურდულობიდან გამომდინარე □ რუსეთი ზეპირ მოსმენას არ დაესწრებოდა. რაც, მოცემულ შემთხვევაში, უცნაურია, რადგან თუ საქმე აბსურდულია, ზეპირი არგუმენტაციით მხარეს შესაძლებლობა აქვს თავისი პოზიცია მარტივად ამტკიცოს. ამიტომ ვფიქრობ, რუსეთს, ამ შემთხვევაში, სხვადასხვა განზრახვა შესაძლოა ჰქონდეს. ერთ-ერთი დამაჯერებელი მიზეზი, შესაძლოა, იყო რუსეთის Ḍ□□□□□□ □□ რომ მისი გამოუცხადებლობა სასამართლოს გადაწყვეტილებას ნაკლებ ლეგიტიმაციას მიანიჭებს. მაგრამ, სასამართლო მხარეებს არ ავალდებულებს მიიღონ მონაწილეობა ზეპირ მოსმენაში და მისი გადაწყვეტილება, ნებისმიერ შემთხვევაში, მხარეებისთვის სავალდებულოა შესასრულებლად. რუსეთი ამით იტოვებს Ḍ□□□□□□□□□ □□ თუნდაც ერთი შეხედვით აბსურდულს, რომ მოახდინოს გადაწყვეტილების დისკრედიტაცია და აღუსრულებლობის „გამართლება".

ICJ-ის წესდების 53-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ დავის მონაწილე მხარე არ გამოცხადდება სასამართლოში ზეპირ მოსმენაზე, მეორე მხარეს შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს მის სასარგებლოდ გამოიტანოს გადაწყვეტილება. ამასთან, სასამართლომ, ასეთი გადაწყვეტილების გამოტანამდე, უნდა განიხილოს იურისდიქციის საკითხები 36-ე და 37-ე მუხლების შესაბამისად და უნდა დაადგინოს, რომ მოთხოვნა ემყარება დასაბუთებულ ფაქტებსა და სამართალს.

რა იქნება შემდგომ?

გამოწვევად რჩება დროებითი ზომების აღსრულების საკითხი. პირველ რიგში, თუ დავის მონაწილე მხარე თავისი ნების საფუძველზე არ აღასრულებს მიღებულ გადაწყვეტილებას,

სასამართლოს იძულების მექანიზმი არ აქვს. ასევე, გაეროს სისტემაში იძულებითი ღონისძიებების განხორციელება, წესდების საფუძველზე, მხოლოდ უშიშროების საბჭოს შეუძლია. მიუხედავად, თეორიულად, ასეთი მექანიზმის არსებობისა, პრაქტიკულად, მისი გამოყენება შეუძლებელია. ამის მიზეზი კი უშიშროების საბჭოში არსებული მუდმივმოქმედი წევრების ინსტიტუტია, რომლებიც სარგებლობენ ვეტოს უფლებით. უფრო კონკრეტულად, უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში შედის 5 მუდმივმოქმედი წევრი (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, რუსეთი და საფრანგეთი), რომელთაც გაეროს ქარტიის შესაბამისად აქვთ მინიჭებული უფლებამოსილება უშიშროების საბჭოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას დაადონ ვეტო, კერძოდ, შეაჩერონ ან აკრძალონ გადაწყვეტილების აღსრულება. შესაბამისად, იძულების მექანიზმი დროებითი ზომების აღსრულებასთან დაკავშირებით ვერ იქნება გამოყენებული.

სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილებით საქმის წარმოება, რა თქმა უნდა, არ სრულდება. მეტად მნიშნელოვანი საკითხების განხილვა მოხდება შემგომ ეტაპზე, კერძოდ, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, სადაც სასამართლო, ასევე, განიხილავს იურისდიქციის და დასაშვებობის საკითხებს, შემდგომ კი უშუალოდ ვალდებულების დარღვევის და შესაძლო რეპარაციის საკითხებზე იმსჯელებს. რთულია წინასწარ განვჭვრიტოთ კონკრეტული საქმის შესაძლო შედეგები, პირველ რიგში, იმაზე დაყრდნობით, რომ მოცემულ დავას ე.წ. პრეცედენტული დატვირთვა აქვს:სასამართლომ უნდა გადაჭრას საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინას არ ჩაუდენია გენოციდის დანაშაული და, შესაბამისად, არ დაურღვევია გენოციდის კონვენცია. ამასთან, შესაძლოა სასამართლო ჩიხში შევიდეს გენოციდის კონვენციის განმარტებასთან მიმართებით, კერძოდ, გენოციდის კონვენცია ცალსახად მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე, დასაჯონ გენოციდის დანაშაულის ჩამდენი პირები,[22] მაგრამ კონვენცია არ შეიცავს დებულებას, რომელიც პირს დასჯის გენოციდის კონვენციის არასწორი გამოყენებისა თუ მისი ინტერპრეტაციისთვის.

დასკვნა

რუსეთის ოფიციალური პირების მიერ გაკეთებული ზეპირი განცხადებები Ḍ□□□□□□□□□ სამხედრო ოპერაციის □ წარმოებასთან დაკავშირებით, შემდეგ ამ განცხადებების ცვლილება, ICJ-ში საქმის წარმოების დროს წერილობითი პოზიციის წარდგენა, მაგრამ, შემდგომ, ზეპირ მოსმენაზე არ გამოცხადება მის მიერ წარმოებულ ქაოტურ და არათანიმიმდევრულ პოლიტიკაზე მიანიშნებს. ამასთან, რუსეთი, თავისი ქმედებებით, პირდაპირ უგულვებელყოფს საერთაშორისო სამართალს და საერთაშორისო სამართლის *jus cogens* ნორმებს. ამის საწინააღმდეგოდ, კი უკრაინა, თანმიმდევრული და დიპლომატიური პოლიტიკის გატარებით, ცდილობს მოაგვაროს ნებისმიერი დავა

მშვიდობიანი, სამართლებრივი გზით. ეს უკანასკნელი, კიდევ ერთხელ, უსვამს ხაზს რუსეთის, როგორც აგრესორი ქვეყნის, ხოლო უკრაინის, როგორც მშვიდობიანი სახელმწიფოს სტატუსს.

ნინო თურმანიძე

საიას საერთაშორისო სამართალწარმოების გუნდის თანაშემწე

შესაძლოა პოსტის შინაარსი არ ასახავდეს საიას პოზიციას

---

[1] *Ukraine V. Russian Federation*, order on provisional measures, 16 March 2022, par. 86. Available at: https://www.icj-cij.org/public/files/case-related/182/182-20220316-ORD-01-00-EN.pdf#page=15 [last visited: 05.04.2022] (შემდეგში: Provisional Measures).

[2] Ukraine V. Russian Federation, Dispute relating to allegations of Genocide, Application Instituting Proceedings, 26 February 2022, International Court of Justice, par. 6, (შემდეგში: Application).

[3] Address by the President of the Russian Federation, 24 February 2022, available at: http://en.kremlin.ru/events/president/transcripts/statements/67843 [last visited: 03.05.2022]

[4] Application, par. 30.

[5] *Case Concerning Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Croatia v. Serbia*), International Court of Justice, Judgement of 18 November 2008, par. 172.

[6] Application, par. 41.

[7] *Case Concerning Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia and Herzegovina v. Yugoslavia*), International Court of Justice, Judgement of 11 July 1996, par. 30.

[8] *Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua V. United State of America)*

, International Court of Justice, Judgement of 27 June 1986, par. 268.

[9] Provisional measures, par.56.

[10] მათ შორის, ვენის 1969 წლის კონვენციის საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ 31-ე და 32-ე მუხლები, რომლებიც კონვენციის დებულებების ინტერპრეტაციის საკითხებს არეგულირებს; გაეროს ქარტიის მე-2(4) მუხლით გათვალისწინებული ძალის გამოყენების აკრძალვა, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები და ა.შ.

[11] Provisional Measures, par.31.

[12] The United Nations Refugee Agency, *Ukraine Emergency*, available at: https://www.unhcr.org/ukraine-emergency.html [last visited: 05.04.2022]

[13] Provisional measures, par.59

[14] Request for the indication of Provisional Measures submitted by Ukraine, International Court of Justice, 26 February 2022, par.11. see also, Provisional measures, par. 59.

[15] Charter of the United Nations, adopted 26 June 1945, entered into force 24 October 1945, 1 UNTS XVI, art. 39.

[16] იან ბრაუნლი, საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, მეშვიდე გამოცემა, 2008, გვ. 784.

[17] Paul Guggenheim, Recueil d'études de droit international en hommage, 1968, p.628-241.

[18] UN General Assembly, *Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide*, 9 December 1948, United Nations, Treaty Series, vol. 78, p. 277, available at: https://www.refworld.org/docid/3ae6b3ac0.html [accessed 5 April 2022], art. IX, (შემდეგში: Genocide Convention).

[19] Provisional Measures, par. 48.

[20] Document submitted by Russian Federation regarding the alleged □□□□ of jurisdiction of the Court in the Case, paras. 36-46, available at: https://www.icj-cij.org/public/files/case-related/182/182-20220307-OTH-01-00-EN.pdf [last visited: 27.04.2022].

[21] Order on Provisional Measures, par.33.

[22] *Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro)*, International Court of Justice, Judgement on the merits on 26 February 2007, p. 221, para. 430. ამავე საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ ნებისმიერი ასეთი ქმედება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.